წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N 2

ქ. წალენჯიხა 2024 წლის 31 იანვარი

2024 წლის 31 იანვარს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი: ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა,ეკა სამუშია, დათო მესხია, ნანა ქობალია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე, მაია მიქავა, დავით ბელქანია, დათა კუკავა, დარეჯან დადიანი, ბესიკ ფარცვანია, თენგიზ ფიფია, ზაზა უბილავა, ნანა კეკუა. სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ივანე ბურდული, მერის მოადგილე თამარ ბელქანია, მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თეა სარია, მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი გელა სალია, მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, დევნილთა და ბავშვთა დაცვის მხარდაჭერის განყოფილების უფროსი მერაბ შონია, მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო-არაკომერციული იურიდიული პირების ხელმძღვანელები, საკრებულოს აპარატის უფროსი იზოლდა მოლაშხია და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12^{00} სთ-ზე

სხდომა დასრულდა: 16^{00} საათზე

სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

საკრებულოს წევრებს დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ .

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სხდომის დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით, რომელიც ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით (მომხრე-21 დეპუტატი(კორნელი სალია,ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, ნანა ქობალია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე, მაია მიქავა, დავით ბელქანია, დათა კუკავა, დარეჯან დადიანი, ბესიკ ფარცვანია, თენგიზ ფიფია, ზაზა უბილავა, ნანა კეკუა), წინააღმდეგი ერთი დეპუტატი-ეკა სამუშია) დამტკიცდა (განკარგულება N1).

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. **წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 იანვრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;**

მომხსენებელი:**კორნელი სალია**, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

2.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ივანე ბურდული, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

3. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა,პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი: ივანე ბურდული, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი მერაბ შონია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, დევნილთა და ბავშვთა დაცვის მხარდაჭერის განყოფილების უფროსი

5.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი რომან კვარაცხელია, საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

6.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

მომხსენებელი გელა სალია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

7.მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში (იჯარით) აუქციონის ფორმით - გაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი გელა სალია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

8.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საკრებულოს აპარატზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული საწვავისა და მობილური ტელეფონების ხარჯვის ლიმიტის დაწესების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის N10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი რომან კვარაცხელია, საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

9. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი რომან კვარაცხელია, საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

10. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2024-2026 წლების გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი კორნელი სალია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

11. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი **კორნელი სალია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

12.სხვადასხვა

სხდომის დღის წესრიგით დამტკიცებული საკითხების განხილვის დაწყებამდე საკრებულოს წევრმა ეკა სამუშიამ სიტვით გამოსვლის უფლება ითხოვა და საკრებულოს თავმჯდომარეს კორნელი სალიას, საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარეს მამუკა მიქავას და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს დათო მესხიას მიმართა და აღნიშნა, რომ მ/წლის 25 იანვარს გამართულ საკრებულოს სხდომასთან დაკავშირებით, როცა დაურეკეს მან განაცხადა, რომ პირადული პრობლემების გამო შესაძლებელი იყო საკრებულოს სხდომას ვერ დასწრებოდა, თუმცა იმავე დღეს დაგეგმილ საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომას, რომელიც მოგვიანებით ტარდებოდა, ის დაესწრებოდა. მან აღნიშნა, რომ მისთვის შეურაცმყოფელი იყო კორნელი სალიას მხრიდან შენიშვნა საკრებულოს სხდომაზე დაუსწრებლობასთან დაკავშირებით. ასევე მიმართა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დათო მესხიას და ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე მამუკა მიქავას, რომელთაგან პირველი მათგანი დაადანაშაულა შეურაცხყოფის მიყენებაში ამომრჩევლებისადმი, რაც გამოიხატა მესხიას მიერ ამომრჩევლების უცენზურო სიტყვებით მოხსენიებაში, ხოლო რაც შეეხება ფრაქციის თავმჯდომარეს, მიუხედავად მისი მუქარისა, რომ გადააყენებდნენ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან, იგი ვერ იქნება მორჩილად შემსრულებელი მათი დაკვეთების, ყველა შემთხვევაში მოწოდებულია საკუთარი აზრი დააფიქსიროს და იმის მიხედვით იმოქმედოს. სხდომის თავმჯდოამრე კორნელი სალიამ ეკა სამუშიას კორექტულობისაკენ მოუწოდა. აღნიშნა, რომ სხდომებზე დასწრება და საკითხის განხილვაში მონაწილების მიღება საკრებულოს წევრის ვალდებულებაა.
ამ შენიშვნების შემდეგ საკრებულოს წევრმა ეკა სამუშიამ პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვა.

მოისმინეს: 1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ივანე ბურდულმა და განმარტა, რომ დადგენილების პროექტის მომზადება განპირობებულ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2024 წლის 1 იანვრისთვის მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშებზე არსებული ნაშთების, სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერების , საკუთარი სახსრებიდან 2023 წელს აღებული ვალდებულებების დასაფარავად და ასევე სახაზინო ანგარიშზე არსებული თავისუფალი ნაშთების გადანაწილების, „ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის განკარგულებით მიღებული თანხის (4 379 324 ლარი), „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისთვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის განკარგულებით მიღებული

თანხის (644 000 ლარი), მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის
მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების ღირებულების
შესაბამისად გამოყოფილი თანხის (1 564 500 ლარი), განახლებული რეგიონების ფარგლებში
წალენჯიხის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის (429 300 ლარი) ასახვის
აუცილებლობით.

საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ გააპროტესტა საკრებულოს სხდომაზე დასწრების
მსურველ მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფის შეფერხება მერიის დაცვის სამსახურის მიერ.
აღნიშნა, რომ ამ მოქალაქეთა სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით, საკრებულო
რეგლამენტით დადგენილი წესით იყო ინფორმირებული და მათი სხდომის მიმდინარეობაში
მონაწილების აკრძალვა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების პირდაპირი დარღვევა
იყო. ამ მიზეზით დავით ბელქანიამ და სხდომაზე დამსწრე „ქართული ოცნება-
დემოკრატიული საქართველოს„ წევრებმა პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვეს.

ვინაიდან საკრებულოს სხდომაზე დარჩა საკრებულოს 13 წევრი, ქვორუმის (მინიმუმ 14
წევრი) არარსებობის გამო სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ , სხდომა ნახევარი
საათით გადადო.

2024 წლის 31 იანვარს,14:00 საათზე, განახლდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს მორიგი სხდომა. საკრებულოს თავმჯდომარემ კორნელი სალიამ გამოაცხადა
ხელახალი რეგისტრაცია, სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 16 წევრი: ავთანდილ
გაბელია,გიორგი დარსალია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, რაისა
ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, გონერ
კვარაცხელია, გელა აბულაძე, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია.

სხდომის განახლების შემდგომ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარემ დათო მესხიამ ბოდიში მოუხადა თავის ამომრჩევლებს და აღნიშნა,
შესაძლებელია მან ვერ შეარჩია სიტყვები, თუმცა იგი პატივს სცემს მუნიციპალიტეტის
მოსახლეობას, ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველს, ფრაქციის წევრები ერთად იბრძოდნენ
ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის და კვლავაც იბრძოლებენ. მან ასევე ბოდიში მოუხადა
საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას შექმნილი უხერხულობისთვის.

მომხსენებელმა ივანე ბურდულმა კიდევ ერთხელ განუმარტა საკრებულოს წევრებს, თუ
რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ბიუჯეტის ამ ცვლილების მიღება, ვინაიდან ფერხდებოდა
მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა, რეგ.ფონდით გათვალისწინებული თანხების
განაწილება, საზღვრისპირა სოფლებში შეშით უზრუნველყოფა, 2023 წლის ვალდებულებების
დაფარვა, ელ.ენერგიის ხარჯების დაფარვა, საწვავით უზრუნველყოფა და სხვა მრავალი
პრობლემის მოგვარება.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა დებატები.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ
მაია მიქავამ მომხსენებელს მიმართა განემარტა, თუ რა შედიოდა გარდამავალ
ვალდებულებებში და მონუმენტისთვის გამოყოფილი თანხა ვალდებულებაში რატომ ჰქონდათ
გათვალისწინებული, მაშინ როცა ამ ობიექტის განსათავსებელი მიწაც კი არ არის
მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, რაზეც მომხსენებელმა ივანე ბურდულმა უპასუხა, რომ
ვალდებულებებში შედიოდა მიღება-ჩაბარების აქტებით, ხელშეკრულებებით
გათვალისწინებული თანხები. ხოლო მონუმენტის პროექტზე მუშაობა უკვე დაწყებული იყო
და ამიტომ მ/ წლის ბიუჯეტში გადმოიტანეს ვალდებულებად.

მაია მიქავამ აღნიშნა, რომ ასე იყო 2023 წელსაც, ნაშთის განაწილებაში იყო
გათვალისწინებული ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულში და ქალაქ წალენჯიხა სასარიოს

უბანში სტადიონების კეთილმოწყობა, რომელთა არც პროექტი არსებობდა და არც თანხა იყო გათვალისწინებული. მერიამ შარშანაც ასეთი განცხადება გააკეთა და შემდგომ თანხა დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურში გადაიტანეს.

საკრებულოს წევრმა თენგიზ ფიფიამ აღნიშნა, რომ მერია სანამ მონუმენტის საკითხს წამოწევდა და ბიუჯეტში ჩასვამდა, სჯობდა მიწის დარეგისტრირების საკითხი მოეგვარებინათ. რაც შეეხება ბიუჯეტს, მას არავინ ეწინააღმდეგება. რაც დასახელდა, იმ საკითხებს ფრაქცია „ქართული ოცნება“ ყველას ეთანხმება, თუმცა რამოდენიმე დღის წინ დამტკიცებულ ა(ა)იპ-ების ბიუჯეტში ისევ ცვლილება, ისევ თანხის დამატება, სრულიად მიუღებელი და გაუმართლებელია.

საკრებულოს ფრაქცია „წალენჯიხა - საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ გონერი კვარაცხელიამ საკრებულოს წევრებს მოუწოდა მხარი დაეჭირათ ბიუჯეტის ცვლილებისთვის და აღნიშნა, რომ მართალია, ბევრი ვალდებულებაა გადმოსული მიმდინარე წლის ბიუჯეტში, თუმცა სჯობია გულისყურით მოვეკიდოთ საკითხს, ავიღოთ პასუხისმგებლობა და არ შევაფერხოთ საკითხის მიღება.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე მომხრე 14 დეპუტატი (კორნელი სალია, ავთანდილ გაბელია,გიორგი დარსალია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე) წინააღმდეგი-2 (მაია მიქავა, თენგიზ ფიფია),მიღებულ იქნა „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილება N1.

მოისმინეს: 2. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა,პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ივანე ბურდულმა და განმარტა, რომ მერიის დებულებით მერს აქვს უფლება ყავდეს მერის მოადგილეები, რომლებსაც თავიანთი საკურატორო დარგების მიხედვით განაწილებული აქვთ უფლება-მოვალეობები. წარმოდგენილი დადგენილების ცვლილების პროექტით საშტატო ნუსხას ემატება მერის მოადგილის ერთი თანამდებობა. 2024 წლის ბიუჯეტით გაზრდილია თანხები, როგორც სოციალური პროგრამების დაფინანსების, ასევე კულტურული და სპორტული ღონისძიებების კუთხით. სოციალურ საკითხებზე, ბიუჯეტის ნაწილი 2021 წელთან შედარებით გაზრდილია ორჯერ.ასევე იხსნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრი. გამომდინარე აქედან , მიზანშეწონილია მოხდეს სოციალური და სპორტისა და კულტურის მიმართულებების ცალ-ცალკე დიფერენცირება სფეროს მნიშვნელობიდან გამომდინარე, საკურატორო დარგების მიმართულებით, მათი ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ავთანდილ გაბელიამ მომხსენებელს მიმართა კითხვით თუ რამდენი თანაშემწე ყავდა მერს და რა ფუნქციები ჰქონდათ გადანაწილებული. ასევე მისთვის გაუგებარია მერიის მიერ მოგონილი განმარტება შტატის გახსნასთან დაკავშირებით. მოსთხოვა მომხსენებელს დაესახელებინა თუ რატომ ვერ ართმევს თავს თამარ ბელქანია, რომელიც ამ ეტაპზე კურირებდა სოციალურ, სპორტისა და კულტურის მიმართულებებს, დაკისრებულ მოვალეობას. ის დაუღალავად დღე და ღამე მუშაობს და პირნათალდ ართმევს თავს თავის საკურატორო სფეროს ხელმძღვანელობას. ავთანდილ გაბელიამ პარტიული დავალება უწოდა მერის მოადგილის ახალი შტატის დამატებას. ნაციონალურმა მოძრაობის ხაბეიშვილის ფრთამ ოცნების დეპუტატებთან ერთად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რამდენიმე დღის წინ გაათავისუფლა ხელშეკრულებით დასაქმებული 3 წვრილშვილიანი ადამიანი. სწორედ ამ უსამართლო გადაწყვეტილების გამო, იგი მხარს არ დაუჭერს წარმოდგენილ საკითხს. ავთანდილ გაბელიამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ფრაქციის თავმჯდომარეს მამუკა მიქავას შეახსენა, რომ 2022 წელს ფრაქციამ მხარი არ დაუჭირა აღნიშნული შტატის დამატებას და ახლა რა შეიცვალა, მისთვის გაუგებარია.

საკრებულოს წევრმა თენგიზ ფიფიამ განმარტა, რომ მერიას აქვს სოციალური და კულტურის სამსახურის უფროსისა და განყოფილების უფროსის ვაკანტური ადგილები. მისთვის სრულიად გაუგებარი და ლოგიკას მოკლებულია კიდევ ახალი შტატის დამატება. ერთი მოადგილე ჩამოყვანილია თბილისიდან, ასევე იურისტი მოწვეულია თბილისიდან , რომელსაც მთელი ა(ა)იპ-ები აქვს ჩაბარებულია სამართავად, ახლა კიდევ სხვა მუნიციპალიტეტიდან მოადგილის ჩამოყვანა. ეს გადაწყვეტილება სრულიად მიუღებელია და უხერხულობას ქმნის.

საკრებულოს ფრაქცია „წალენჯიხა-საქართველოსთვის" თავმჯდომარემ გონერი კვარაცხელიამ აღნიშნა, რომ ფრაქცია აღნიშნულ საკითხს მხარს არ დაუჭერდა.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

დადგენილების პროექტს მხარი დაუჭირ 8-მა დეპუტატმა, (თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, რაისა ჩანგელია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, დათო მესხია,), წინააღმდეგი იყო 8 დეპუტატი (კორნელი სალია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე, ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია, ეკა სამუშია,თენგიზ ფიფია, მაია მიქავა), ვინაიდან ნორმატიული აქტის პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საკრებულოს დამსწრე წევრტა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ ერთი მესამედისა, ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა,პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი არ იქნა მიღებული.

მოისმინეს: 3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

საკითხი წარმოადგინა მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, დევნილთა და ბავშვთა დაცვის მხარდაჭერის განყოფილების უფროსმა მერაბ შონიამ.

საკრებულოს ფრაქცია „წალენჯიხა-საქართველოსთვის" თავმჯდომარემ გონერი კვარაცხელიამ აღნიშნა, რომ წესში შენიშვნის სახით სურდა გაეთვალისწინებინათ, წალენჯიხაში ფაქტობრივად მცხოვრებ იმ მოქალაქეთა დახმარების საკითხი, რომლებიც არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რასაც მერის მოადგილემ თამარ ბელქანიამ უპასუხა, რომ კომისია ამ საკითხზე, როგორც გამონაკლის შემთხვევაზე, განიხილავს და იმსჯელებს.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარემ მაია მიქავამ მომხსენებელს მიმართა კითხვით, თუ რატომ გადაიტანეს სარეზერვო ფონდში სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის თანხები, რასაც თამარ ბელქანიამ უპასუხა, რომ პროგრამა უფრო მოქნილი იქნება, ვინაიდან წინასწარ რთულია განსაზღვრა რამდენი ოჯახი შეიძლება დადგეს ამ პრობლემის წინაშე.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 16 დეპუტატი (კორნელი სალია, ავთანდილ გაბელია,გიორგი დარსალია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია), წინააღმდეგი-არცერთი მიღებულ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილება N2.

მოისმინეს: 4. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხი წარმოადინა საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ რომან კვარაცხელიამ და განმარტა რომ საკრებულოს წევრთა (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით ხარჯების ზღვრული ოდენობა 600 ლარის ნაცვლად გახდა 700 ლარი.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 16 დეპუტატი (კორნელი სალია, ავთანდილ გაბელია,გიორგი დარსალია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია), წინააღმდეგი-არცერთი მიღებულ იქნა „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილება N3.

მოისმინეს: 5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ და აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის" შესაბამისად განსაზღვრულ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილმდებარეობის მიხედვით განსაზღვრული არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასები. გათვალისწინებით ამისა, მომზადდა ნორმატიული აქტის პროექტი. ფასი დგინდება იგივე მოცულობით, რაც 2023 წელს.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ. სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 16 დეპუტატი (კორნელი სალია, ავთანდილ გაბელია,გიორგი დარსალია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია), წინააღმდეგი-არცერთი მიღებულ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ დადგენილება N4.

მოისმინეს: 6. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში (იჯარით) აუქციონის ფორმით - გაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ და აღნიშნა, რომ მერიაში შემოსულია მოქალაქის განცხადება, რომელიც ითხოვს სარგებლობაში (იჯარით) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.წალენჯიხა, სალიას ქ-ზე მდებარე 43 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის სარგებლობის უფლებით,იჯარის ფორმით აღებას. აუდიტორული კომპანია „კომპაუდის" დასკვნის მიხედვით რეგისტრირებული უძრავი ქონება შეფასებულ იქნა 3300 ლარად. საწყისი საიჯარო ქირა განისაზღვრა 600 ლარით. მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ქ.წალენჯიხა,კ.სალიას ქ-ზე მდებარე 43 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გაცემაზე.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ. სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 16 დეპუტატი (კორნელი სალია, ავთანდილ გაბელია,გიორგი დარსალია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია), წინააღმდეგი-არცერთი მიღებულ იქნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში (იჯარით) აუქციონის ფორმით - გაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულება N2.

მოისმინეს: 7. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საკრებულოს აპარატზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით დაწესებული საწვავისა და მობილური ტელეფონების ხარჯების ლიმიტის დაწესების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის N10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხი წარმოადინა საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ რომან კვარაცხელიამ და განმარტა რომ განკარგულების ამ პროექტით საწვავის ოდენობა ემატება საკრებულოს აპარატს და ნაცვლად 130 ლიტრისა იგი განისაზღვრება 200 ლიტრით.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

კენჭისყრის დაწყებამდე სხდომათა დარბაზი დატოვა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი დარსალიამ.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 15 დეპუტატი (კორნელი სალია, ავთანდილ გაბელია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია), წინააღმდეგი-არცერთი მიღებულ იქნა „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საკრებულოს აპარატზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით დაწესებული საწვავისა და მობილური ტელეფონების ხარჯების ლიმიტის დაწესების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის N10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულება N3.

მოისმინეს: 8. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

საკითხი წარმოადინა საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ რომან კვარაცხელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 15 დეპუტატი (კორნელი სალია, ავთანდილ გაბელია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია), წინააღმდეგი-არცერთი მიღებულ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულება N4.

მოისმინეს: 9. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ს 2024-2026 წლების გენდერული თანასწორობის სტრატეგიის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ კორნელი სალიამ და საკრებულოს წევრებს გააცნო გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024-2026 წლების სტრატეგია.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 15 დეპუტატი (კორნელი სალია, ავთანდილ გაბელია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია), წინააღმდეგი-არცერთი მიღებულ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ს 2024-2026 წლების გენდერული თანასწორობის სტრატეგიის თაობაზე განკარგულება N5.

მოისმინეს: 10. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ კორნელი სალიამ და საკრებულოს წევრებს გააცნო გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 წლის გაწეული მუშაობის ანგარიში.

საკრებულოს წევრებმა ანგარიში შეაფასეს დამაკმაყოფილებლად და მიიღეს ცნობის სახით

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე **კორნელი სალია**